- ისთ ფოინთი თბილისი, თვალჭრელიძის N2., სავაჭრო ცენტრი „ისტ ფოინთი“
- ქუთაისი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N14, ცენტრი 4600

- გარე მაღაზიები:

- პეკინი თბილისი, პეკინის გამზირი N4
- ბათუმი ბათუმი, დემეტრე თავდადებული, 14

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

*2.1. მომზადების საფუძვლები*

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ მოამზადა წინასწარი ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლასთან დაკავშირებით, ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ მიხედვით. წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ გამოიყენა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადებულიყო ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

დასრულებული წლისთვის. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდი პირველი წელია, როდესაც კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება

ფასს-ის მიხედვით და გამოიყენა ფასს-1. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

2017 წლის დასრულებული წლისთვის წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს-ზე გადასვლის მიზნებისთვის, ხოლო მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

**შეფასების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ ნაწილისა, რომელზეც სხვაგვარად არ არის მითითებული სააღრიცხვო პოლიტიკაში.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომელიც უშვებს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას მინიმუმ მომდევნო 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტის აღნიშნული შეფასება დაფუძნებულია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მიმდინარე განზრახვებზე, დადებით ფულად ნაკადებზე, ოპერაციების მომგებიანობასა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომაზე.

**წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა**

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                           | დოლარი        | ევრო          |
|---------------------------|---------------|---------------|
| <b>1 იანვარი, 2017</b>    | <b>2.6468</b> | <b>2.7949</b> |
| 2017 წლის საშუალო კურსი   | 2.5086        | 2.8322        |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> | <b>2.5922</b> | <b>3.1044</b> |
| 2018 წლის საშუალო         | 2.5345        | 2.9913        |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>2.6766</b> | <b>3.0701</b> |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

---

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში.

**შემოსავლების აღიარება**

კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყაროა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და აქსესუარებით ვაჭრობა საცალო მაღაზიების მეშვეობით.

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

კომპანიას არ გააჩნია არც სახელშეკრულებო აქტივები და არც სახელშეკრულებო ვალდებულებები, რადგანაც, ზოგადად, გადახდა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელზე გადადის საქონლის კონტროლის უფლება.

**ხარჯების აღიარება**

**პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს პენსიაზე გასვლის შემდგომი სარგებელი ან სხვა მნიშვნელოვანი კომპენსირებადი სარგებელი, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

**ცვეთა**

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

| ძირითადი საშუალებები      | სასარგებლო ვადა(თვე) |
|---------------------------|----------------------|
| იჯარის კეთილმოწყობა       | 60-120               |
| ოფისის აღჭურვილობა        | 80                   |
| ელექტრონული მოწყობილობები | 80                   |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 80                   |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 80                   |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

---

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**აქტივების გაუფასურება**

აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. შესაბამისად, აქტივის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც მისი საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურებაზე ტესტირებისთვის აქტივები იყოფა ჯგუფებად და შესაძლებელია მათი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე მიკუთვნება.

**მარაგები**

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

**ფინანსური აქტივები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები, ფასს 9-ის ფარგლებში, კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლების მეშვეობით და ამორტიზირებული ღირებულებით.

კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივებს სამართლიანი ღირებულებით (იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივები არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მას ემატება იმ ოპერაციების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან).

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ანაწილებს აქტივებს შესაბამის კატეგორიებში. სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, მანამდე არ იცვლება თავდაპირველი აღიარებისას აქტივებისთვის შერჩეულ კატეგორიები.

**შემდგომი შეფასება**

შემდგომში, ფინანსური აქტივი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ის შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით.

კომპანიას არ აქვს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

---

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

- **ფინანსური აქტივების აღრიცხვა ამორტიზირებული ღირებულებით (სავაჭრო ინსტრუმენტები)**

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივის შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში შეფასებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლები და დანაკარგები აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივი მოდიფიცირებულია, გაუფასურებულია ან მისი აღიარება შეწყვეტილია.

კომპანიის ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

**გაუფასურება**

კომპანია აღიარებს მომავალი საკრედიტო დანაკარგების რეზერვს ყველა იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომელიც არაა აღიარებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სხვა დანარჩენ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანიის მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისა განხილულია სავაჭრო მოთხოვნებსა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობების, დაშვებებისა და შეფასებების ნაწილში.

**აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს ან 2) არც გადასცემს მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ, ასევე, უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს გადაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და კონტროლს ინარჩუნებს გადაცემულ აქტივზე, იგი განაგრძობს გადაცემული აქტივის აღიარებას, მასში შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობის პროპორციულად. გადაცემულ აქტივში შენარჩუნებული კომპანიის მონაწილეობის მოცულობა იქნება ის თანხა, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ზემოქმედებს კომპანიაზე გადაცემული აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების რისკი.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

---

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**ფინანსური ვალდებულებები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები, ფასს 9-ის ფარგლებში, კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლების მეშვეობით და ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით კომპანიის მიერ (იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულებები არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მას ემატება იმ ოპერაციების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულების წარმოქმნასთან).

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში წარმოიქმნება უკვე მიწოდებული საქონლით ან/და გაწეული მომსახურებით, რომლის საფასურიც ჯერ არ არის გადახდილი. ეს დავალიანებები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად, თუ მათი დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში, როცა დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს, ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. არსებული მდგომარეობით, მოსალოდნელია რომ კომპანია თავის სავაჭრო ვალდებულებებს დაფარავს ერთი წლის განმავლობაში და ისინი კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) აღიარება წყდება როცა:

- (ა) კომპანია იმცირებს ვალდებულებას (ან მის ნაწილს) კრედიტორებისთვის თანხის (შესაძლოა, ფინანსური აქტივების, საქონლის ან მომსახურების) გადახდით, ან
- (ბ) იურიდიულად თავისუფლდება ვალდებულებისგან (ან მისი ნაწილის) კანონით ან კრედიტორის მიერ. (თუ დებიტორს მიცემული აქვს გარანტია, ეს პირობა შეიძლება მაინც დაკმაყოფილდეს)

**ურთიერთგადახურვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

---

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**იჯარა**

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. როდესაც კომპანია მეიჯარე, საოპერაციო იჯარით გათვალისწინებული ყველა რისკი და ჯილდო არ გადაეცემა მოიჯარეს, საოპერაციო საიჯარო გადასახდელების საერთო ოდენობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საიჯარო ვადის განმავლობაში პროპორციული აღიარების მეთოდის გამოყენებით.

**წინასწარ გადახდები**

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები**

კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ისეთი მსჯელობების, დაშვებებისა და შეფასებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

**საგადასახადო კანონმდებლობა.**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, როგორც კომპანიის გარიგებები და საქმიანობა, შეიძლება არ ემთხვეოდეს ხელმძღვანელობის მოქმედებას. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება გაასაჩივრონ გარიგებები და დამატებითი გადასახადები, შეიძლება შეფასდეს ჯარიმები და პროცენტები, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

---

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)**

**დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.**

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში კომპანია აწარმოებს გარიგებებს მასთან დაკავშირებულ საწარმოებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. საჭიროა, გადაწყვეტილებების მიღება გარიგებების ფასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტულ ტრანზაქციაზე არ არსებობს აქტიური სავაჭრო ბაზარი. ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღების საფუძველია არადაკავშირებული საწარმოების მსგავსი გარიგებების ფასების ანალიზი.

**ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა.**

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

**ძირითადი საშუალებების გაუფასურება**

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს კონკრეტულ აქტივს ან აქტივთა ჯგუფს, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფის შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ძირითადი საშუალებების გაუფასურების შეფასება მოითხოვს გარკვეული შეფასებების გამოყენებას, რომელიც მოიცავს გაუფასურების მიზეზს, დროსა და თანხას. გაუფასურების შეფასება ეფუძნება რიგ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება მიმდინარე კონკურენტულ გარემოში, ინდუსტრიის გაფართოების მოლოდინი, კაპიტალური ღირებულების ზრდა, მომავალში დაფინანსების ხელმისაწვდომობის ცვლილებები, ტექნოლოგიური გაუარესება, გარკვეული ტიპის საქმიანობის შეწყვეტა, ხარჯების ანაზღაურების ღირებულება და სხვა ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს გაუფასურების აღიარებას.

მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საანგარიშო თარიღებისთვის, განსაზღვრული აღდგენითი ღირებულება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მაღალი იყო, შედეგად, გაუფასურებასთან დაკავშირებული ზარალი არ გამოვლენილა.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დისკონტირება**

კომპანია იყენებს სესხებზე არსებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს როგორც ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამორტიზირებული ღირებულების დასაანგარიშებლად.

**მარაგების გაუფასურების რეზერვი**

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს არსებობს თუ არა მარაგების გაუფასურების ნიშნები. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა წარსულში არსებულ ინფორმაციას და გამოითვლება იმ დღეებზე დაფუძნებით, რომლის განმავლობაშიც მარაგები არის უმოძრაოდ.

**დემონტაჟის ხარჯის ანარიცხი**

დემონტაჟის განხორციელების ვალდებულება დამოკიდებულია განსახორციელებელი დემონტაჟის სამუშაოების ვადასა და ხარჯზე, სამართლებრივ მოთხოვნებსა და დასარიცხი ხარჯის დისკონტირების განაკვეთზე. მიმდინარე ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს ანარიცხის წარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებს.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**4. IASB-ის მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და შენიშვნები**

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ არის შესული მოცემულია ქვემოთ:

| სტანდარტი/<br>ინტერპრეტაციები                | შინაარსი                                                                                                                          | ძალაში<br>შესვლის<br>თარიღი | მოსალოდნელი<br>გავლენა |
|----------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------|------------------------|
| IFRS(ფასს) 16                                | იჯარა                                                                                                                             | 1 იან 2019                  | მნიშვნელოვანი გვლენა   |
| შესწორება IFRS (ფასს) 9                      | წინასწარი გადახდები უარყოფითი კომპენსაციით                                                                                        | 1 იან 2019                  | უმნიშვნელო გავლენა     |
| შესწორება IAS (ბასს) 28                      | გრძელადიანი წილები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში                                                                              | 1 იან 2019                  | არ აქვს გავლენა        |
| შესწორება IAS (ბასს) 19                      | გეგმის შესწორება, შემცირება ან დარეგულირება                                                                                       | 1 იან 2019                  | არ აქვს გავლენა        |
| IFRS (ფასს) 17                               | სადაზღვევო ხელშეკრულებები                                                                                                         | 1 იან 2021                  | არ აქვს გავლენა        |
| შესწორებები IFRS (ფასს) 10 and IAS (ბასს) 28 | აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში | გადაიდო განუსაზღვრელი ვადით | არ აქვს გავლენა        |
| IFRIC (ფასსიკ) 23                            | საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული გაურკვევლობა                                                                               | 1 იან 2019                  | უმნიშვნელო გავლენა     |
| ყოველწლიური გაუმჯობესების პროექტი 2015-2017  | შესწორებები IFRS (ფასს) 3 and IAS (ბასს) 11, IAS (ბასს) 12, IAS (ბასს) 23                                                         | 1 იან 2019                  | უმნიშვნელო გავლენა     |

კომპანია არ გეგმავს გამოიყენოს ის სტანდარტები ან შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში.

**ფასს 16 იჯარა**

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“ ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების შეფასების წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით.

გამომდინარე იქედან რომ კომპანია წარმოადგენს ადმინისტრაციული შენობის ნაწილის მეიჯარეს და სასაწყობო მეურნეობის მოიჯარეს, ახალი სტანდარტი არსებით გავლენას მოახდენს კომპანიაზე. შედეგად, იქნება მნიშვნელოვანი განაწევლება სხვა საოპერაციო ხარჯებისგან ცვეთაზე, ამორტიზაციაზე და ფინანსურ ხარჯებზე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ის მიხედვით განმარტებული ვალდებულებები ბევრად უფრო ყოვლისმომცველია. კომპანია აფასებს მომავალში ახალი სტანდარტის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი, ათასი)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                 | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | ოფისის<br>აღჭურვილობა | ელექტრო<br>აღჭურვილო<br>ბა | ტრანსპორტი | სხვა<br>ძ/ს | სულ     |
|---------------------------------|----------------------------------------------|-----------------------|----------------------------|------------|-------------|---------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>     |                                              |                       |                            |            |             |         |
| 1 იანვარი, 2017                 | 6,812                                        | 1,050                 | 452                        | -          | 1,140       | 9,454   |
| მატება                          | 2,181                                        | 301                   | 461                        | 43         | 592         | 3,578   |
| ჩამოწერა                        | -                                            | (20)                  | (1)                        | -          | (38)        | (59)    |
| 31 დეკემბერი,<br>2017           | 8,993                                        | 1,331                 | 912                        | 43         | 1,694       | 12,973  |
| მატება                          | 85                                           | 56                    | 46                         | -          | 38          | 225     |
| ჩამოწერა                        | (192)                                        | -                     | (2)                        | -          | (8)         | (202)   |
| 31 დეკემბერი,<br>2018           | 8,886                                        | 1,387                 | 956                        | 43         | 1,724       | 12,996  |
| <b>დაგროვილი<br/>ცვეთა</b>      |                                              |                       |                            |            |             |         |
| 1 იანვარი, 2017                 | (1,327)                                      | (317)                 | (125)                      | -          | (390)       | (2,159) |
| პერიოდის ცვეთა                  | (777)                                        | (162)                 | (77)                       | (6)        | (190)       | (1,212) |
| ჩამოწერა                        | -                                            | 11                    | 1                          | -          | 17          | 29      |
| 31 დეკემბერი,<br>2017           | (2,104)                                      | (468)                 | (201)                      | (6)        | (563)       | (3,342) |
| პერიოდის ცვეთა                  | (988)                                        | (203)                 | (140)                      | (7)        | (256)       | (1,594) |
| ჩამოწერა                        | 35                                           | -                     | 1                          | -          | 3           | 39      |
| 31 დეკემბერი,<br>2018           | (3,057)                                      | (671)                 | (340)                      | (13)       | (816)       | (4,897) |
| <b>საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                                              |                       |                            |            |             |         |
| 1 იანვარი, 2017                 | 5,485                                        | 733                   | 327                        | -          | 750         | 7,295   |
| 31 დეკემბერი,<br>2017           | 6,889                                        | 863                   | 711                        | 37         | 1,131       | 9,631   |
| 31 დეკემბერი,<br>2018           | 5,829                                        | 716                   | 616                        | 30         | 908         | 8,099   |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

|                                                  | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|--------------------------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| <b>გრძელვადიანი მოთხოვნები</b>                   |                    |                    |                 |
| საიჯარო დეპოზიტები                               | 934                | 1,006              | 1,030           |
| ამორტიზებული დისკონტი                            | (506)              | (463)              | (471)           |
| <b>სულ გრძელვადიანი მოთხოვნები</b>               | <b>428</b>         | <b>543</b>         | <b>559</b>      |
| <b>მიმდინარე მოთხოვნები</b>                      |                    |                    |                 |
| <i>გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი</i> |                    |                    |                 |
| საიჯარო დეპოზიტები                               | 231                | 115                | 68              |
| <i>მიმდინარე მოთხოვნები</i>                      |                    |                    |                 |
| სავაჭრო მოთხოვნები                               | 108                | 166                | 157             |
| სხვა მოთხოვნები                                  | 2                  | 3                  | -               |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b>                  | <b>341</b>         | <b>284</b>         | <b>225</b>      |

ხანდაზმულობის ანალიზის შედეგად არ გამოვლენილა გაუფასურებული ან ვადადამდგარი მოთხოვნა 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

**7. მარაგები**

კომპანიის მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                     | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|---------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| გასაყიდი საქონელი   | 6,564              | 7,177              | 6,841           |
| <b>სულ მარაგები</b> | <b>6,564</b>       | <b>7,177</b>       | <b>6,841</b>    |

**8. წინასწარ გადახდები**

კომპანიის წინასწარ გადახდები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

|                                            | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|--------------------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| <i>განხორციელებული წინასწარ გადახდები:</i> |                    |                    |                 |
| მესამე მხარესთან                           | 353                | 296                | 177             |
| დაკავშირებულ მხარეებთან                    | -                  | 283                | 642             |
| <b>სულ წინასწარ გადახდები</b>              | <b>353</b>         | <b>579</b>         | <b>819</b>      |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**9. ფული და ფულადი ეკვივალენტები**

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                        | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|----------------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში           | 730                | 1,323              | 1,150           |
| ფული სალაროში                          | 236                | 247                | 392             |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში            | -                  | -                  | 1,518           |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>966</b>         | <b>1,570</b>       | <b>3,060</b>    |

ფული და ფულადი ეკვივალენტების ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს, ისინი განთავსებულია კრედიტუნარიან ქართულ ბანკებში.

**10. საწესდებო კაპიტალი**

*საწესდებო კაპიტალი*

|                                                           | წილი, %     | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|-----------------------------------------------------------|-------------|--------------------|--------------------|-----------------|
| Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi | 100%        | 1,689              | 1,689              | 1,689           |
| <b>სულ საწესდებო კაპიტალი</b>                             | <b>100%</b> | <b>1,689</b>       | <b>1,689</b>       | <b>1,689</b>    |

**11. სესხები**

კომპანიის სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

|                                             | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|---------------------------------------------|----------------------|---------------|--------------------|--------------------|-----------------|
| <b>გრძელვადიანი</b>                         |                      |               |                    |                    |                 |
| ბანკის სესხი 6'750 ათასი ლარი               | 14,25%               | 24.06.2019    | -                  | 1,870              | 5,237           |
| ბანკის სესხი 4'680 ათასი ლარი               | 14,50%               | 03.09.2019    | -                  | 2,205              | 4,680           |
|                                             |                      |               | -                  | <b>4,075</b>       | <b>9,917</b>    |
| <b>მოკლევადიანი</b>                         |                      |               |                    |                    |                 |
| <i>გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი</i> |                      |               |                    |                    |                 |
| ბანკის სესხი 6'750 ათასი ლარი               | 14,25%               | 24.06.2019    | 1,876              | 3,380              | 1,526           |
| ბანკის სესხი 4'680 ათასი ლარი               | 14,50%               | 03.09.2019    | 2,231              | 2,644              | 170             |
|                                             |                      |               | <b>4,107</b>       | <b>6,024</b>       | <b>1,696</b>    |
| <b>სულ სესხები</b>                          |                      |               | <b>4,107</b>       | <b>10,099</b>      | <b>11,613</b>   |

სესხები უზრუნველყოფილია დედა კომპანიის გარანტიით 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი, ათასი)

11. სესხები (გაგრძელება)

საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე ცვლილებები ვალდებულებებში

|                               |               |
|-------------------------------|---------------|
| 2017 წლის 1 იანვარი           | 11,613        |
| ფულადი ნაკადები               | (3,147)       |
| დარიცხული პროცენტი            | 1,633         |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>10,099</b> |
| ფულადი ნაკადები               | (7,068)       |
| დარიცხული პროცენტი            | 1,076         |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4,107</b>  |

12. ანარიცხები

კომპანიის ანარიცხები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                               | მარაგების<br>შემცირების<br>რეზერვი | დემონტაჟის ხარჯის<br>რეზერვი | სულ        |
|-------------------------------|------------------------------------|------------------------------|------------|
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>    | <b>58</b>                          | <b>246</b>                   | <b>304</b> |
| ცვლილება წლის განმავლობაში    | 221                                | 97                           | 318        |
| ცვლილება შეფასებაში           | -                                  | (25)                         | (25)       |
| ამორტიზებული დისკონტი         | -                                  | 36                           | 36         |
| გამოყენებული                  | (241)                              | -                            | (241)      |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>38</b>                          | <b>354</b>                   | <b>392</b> |
| ცვლილება წლის განმავლობაში    | 474                                | -                            | 474        |
| ცვლილება შეფასებაში           | -                                  | (9)                          | (9)        |
| ამორტიზებული დისკონტი         | -                                  | 52                           | 52         |
| გამოყენებული                  | (468)                              | -                            | (468)      |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>44</b>                          | <b>397</b>                   | <b>441</b> |
| <b>მიმდინარე ანარიცხი</b>     | <b>44</b>                          | <b>69</b>                    | <b>113</b> |
| <b>გრძელვადიანი ანარიცხი</b>  | <b>-</b>                           | <b>328</b>                   | <b>328</b> |

დემონტაჟის ხარჯის წარმოშობა მოსალოდნელია საცალო მაღაზიის გახსნიდან 5-10 წლის განმავლობაში.

ანარიცხი წარმოადგენს მენეჯმენტის მიმდინარე ფასების შეფასებების დისკონტირებულ ღირებულებას არსებული ტექნოლოგიის ფასების გამოყენებით. დემონტაჟის სავარაუდო ღირებულების ხელახალი შეფასებიდან გამომდინარე ნებისმიერი კორექტირება კაპიტალიზირებულია (იხ. შენიშვნა 5), ხოლო დისკონტირების ამორტიზებასთან დაკავშირებული კორექტირება აღიარებულია მოგებასა და ზარალში როგორც ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 17).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი, ათასი)

**13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                          | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| <i>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</i>     |                    |                    |                 |
| დაკავშირებული მხარეების მიმართ           | 4,181              | 696                | 711             |
| მესამე მხარის მიმართ                     | 258                | 1,204              | 311             |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>4,439</b>       | <b>1,900</b>       | <b>1,022</b>    |

**14. შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული საქონლის თვითღირებულება**

**დეზაგრეგირებული შემოსავალი**

მოცემულ ცხრილში შემოსავალი დეზაგრეგირებულია ფილიალების (მოგების ცენტრებისა) და საქონლის სახეობის მიხედვით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

|                                                  | 2018          | 2017          |
|--------------------------------------------------|---------------|---------------|
| ტანსაცმელი                                       | 30,750        | 29,156        |
| აქსესუარები                                      | 2,578         | 2,740         |
| ფეხსაცმელი                                       | 1,059         | 1,330         |
| <b>სულ შემოსავალი საქონლის სახეობის მიხედვით</b> | <b>34,387</b> | <b>33,226</b> |

| <i>შემოსავალი ფილიალების მიხედვით</i>     | 2018          | 2017          |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| პეკინი                                    | 7,693         | 8,666         |
| ისტ ფოინთი                                | 5,279         | 5,937         |
| თბილისი მოლი                              | 4,855         | 5,485         |
| ბათუმი                                    | 3,864         | 762           |
| ქუთაისი                                   | 3,773         | 3,803         |
| მერანი                                    | 3,262         | 4,563         |
| სითი მოლი                                 | 2,576         | 395           |
| ქარვასლა                                  | 1,796         | 587           |
| გლდანი მოლი                               | 1,289         | 3,028         |
| <b>სულ შემოსავალი ფილიალების მიხედვით</b> | <b>34,387</b> | <b>33,226</b> |

**გაყიდული საქონლის თვითღირებულება**

| <i>გაყიდული საქონლის თვითღირებულება ფილიალების მიხედვით</i>     | 2018          | 2017          |
|-----------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| პეკინი                                                          | 3,918         | 4,390         |
| ისტ ფოინთი                                                      | 2,726         | 3,001         |
| თბილისი მოლი                                                    | 2,462         | 2,772         |
| ბათუმი                                                          | 2,237         | 372           |
| ქუთაისი                                                         | 2,123         | 2,118         |
| ქარვასლა                                                        | 1,872         | 526           |
| მერანი                                                          | 1,766         | 2,410         |
| სითი მოლი                                                       | 1,382         | 202           |
| გლდანი მოლი                                                     | 1,348         | 2,128         |
| <b>სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება ფილიალების მიხედვით</b> | <b>19,834</b> | <b>17,919</b> |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**14. შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული საქონლის თვითღირებულება (გაგრძელება)**

**შესასრულებელი ვალდებულება**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო გაყიდვები მაღაზიებში. შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს მომხმარებლისთვის კონკრეტული საქონლის გადაცემას. ამონაგების აღიარება ხდება იმ მომენტისთვის როდესაც საქონელზე კონტროლის უფლება გადაეცემა მომხმარებელს.

**15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                              | 2018          | 2017          |
|----------------------------------------------|---------------|---------------|
| იჯარა                                        | 6,651         | 6,254         |
| ხელფასები                                    | 1,738         | 1,553         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 1,594         | 1,212         |
| მომსახურება                                  | 1,339         | 1,249         |
| სხვა                                         | 508           | 484           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>11,830</b> | <b>10,752</b> |

**16. დისტრიბუციის ხარჯები**

კომპანიის დისტრიბუციის ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                 | 2018       | 2017       |
|---------------------------------|------------|------------|
| შეფუთვის ხარჯები                | 178        | 100        |
| ვიზუალის ხარჯები                | 78         | 102        |
| რეკლამის ხარჯები                | 43         | 72         |
| სხვა                            | 48         | 19         |
| <b>სულ დისტრიბუციის ხარჯები</b> | <b>347</b> | <b>293</b> |

**17. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები**

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                     | 2018      | 2017      |
|-------------------------------------|-----------|-----------|
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>         |           |           |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული |           |           |
| მოთხოვნების ამორტიზებული დისკონტი   | 72        | 70        |
| <b>სულ ფინანსური შემოსავალი</b>     | <b>72</b> | <b>70</b> |

**ფინანსური ხარჯები**

|                                                           |                |                |
|-----------------------------------------------------------|----------------|----------------|
| საპროცენტო ხარჯი                                          | (1,076)        | (1,633)        |
| ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით აღიარებასთან |                |                |
| დაკავშირებული ხარჯი                                       | -              | (63)           |
| ამორტიზებული დისკონტი დემონტაჟის ანარიცხისთვის            | (51)           | (36)           |
| <b>სულ ფინანსური ხარჯები</b>                              | <b>(1,127)</b> | <b>(1,732)</b> |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**18. მოგების გადასახადის ხარჯი**

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა დაგროვებული მოგების განაწილება, შედეგად მოგების გადასახადი არის ნული (2017: ნული).

**19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაახლოებით სამართლიან ღირებულებას უტოლდება.

**ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები**

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით:

|                                             | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 | 1 იანვარი, 2017 |
|---------------------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                   |                    |                    |                 |
| სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 6)             | 110                | 169                | 157             |
| ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 9)    | 966                | 1,570              | 3,060           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>               | <b>1,076</b>       | <b>1,739</b>       | <b>3,217</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>              |                    |                    |                 |
| სესხები (შენიშვნა 11)                       | 4,107              | 10,099             | 11,613          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 13) | 4,439              | 1,900              | 1,022           |
| დემონტაჟის ანარიცხი (შენიშვნა 12)           | 397                | 354                | 246             |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>          | <b>8,943</b>       | <b>12,353</b>      | <b>12,881</b>   |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

**20. ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

*საბაზრო რისკი*

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებული საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

*სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას უცხოური ვალუტის ცვლილების რისკის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

| აშშ დოლარი                                                    | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|---------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                                     |                       |                       |                    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                   | -                     | -                     | 1,518              |
| სავაჭრო მოთხოვნები                                            | -                     | 13                    | -                  |
| <b>სულ ფინანსური აქტივები დენომინირებული აშშ დოლარში</b>      | <b>-</b>              | <b>13</b>             | <b>1,518</b>       |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                                |                       |                       |                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                                         | (4,181)               | (696)                 | (711)              |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები დენომინირებული აშშ დოლარში</b> | <b>(4,181)</b>        | <b>(696)</b>          | <b>(711)</b>       |
|                                                               | -                     | -                     | -                  |
| <b>ნეტო პოზიცია:</b>                                          | <b>(4,181)</b>        | <b>(683)</b>          | <b>807</b>         |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ლარის ცვლილება (ზრდა/შემცირება) აშშ დოლასთან მიმართებით შეცვლიდა მოგებას ან ზარალს ცხრილში მოცემული ოდენობით:

| აშშ დოლარი        | სავალუტო კურსის ზრდა<br>(შემცირება), % | გავლენა ფინანსურ<br>შედეგებზე გადასახადებამდე |
|-------------------|----------------------------------------|-----------------------------------------------|
| 31 დეკემბერი 2018 | 5%                                     | (209)                                         |
| 31 დეკემბერი 2018 | -5%                                    | 209                                           |
| 31 დეკემბერი 2017 | 5%                                     | (63)                                          |
| 31 დეკემბერი 2017 | -5%                                    | 63                                            |
| 1 იანვარი 2017    | 5%                                     | 35                                            |
| 1 იანვარი 2017    | -5%                                    | (35)                                          |

კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიის დამოკიდებულება ბაზარზე საპროცენტო რისკის ცვლილების მიმართ შეზღუდულია, რადგან კომპანიას დავალიანებები აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში.

*საკრედიტო რისკი*

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს. აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს საკრედიტო რისკის შემცველს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე შეზღუდულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგადახურვების გავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის შემცირებაზე უმნიშვნელოა.

კომპანიის პოლიტიკას საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით წარმოადგენს დადებითი რეპუტაციისა და საკრედიტო ისტორიის მქონე მესამე მხარეებთან თანამშრომლობა. კომპანიის ფული განთავსებულია საქართველოში არსებულ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში. უფრო მეტიც, რეგულარულად მიმდინარეობს სავაჭრო მოთხოვნების მონიტორინგი. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი მოცემულია შენიშვნა 6-ში.

*ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*(ქართული ლარი, ათასი)*

ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის მოცემულია ქვემოთ:

|                           | მოთხოვნა<br>მდე | 3 თვემდე     | 3 - 12<br>თვემდე | 1 - 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ           |
|---------------------------|-----------------|--------------|------------------|-----------------|-----------------|---------------|
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> |                 |              |                  |                 |                 |               |
| სავაჭრო და სხვა           |                 |              |                  |                 |                 | 4,439         |
| ვალდებულებები             | -               | 2,308        | 2,131            | -               | -               |               |
| სესხები                   | -               | 1,247        | 2,860            | -               | -               | 4,107         |
| დემონტაჟის ხარჯის რეზერვი | -               | -            | 69               | 98              | 230             | 397           |
|                           | -               | <b>3,555</b> | <b>5,060</b>     | <b>98</b>       | <b>230</b>      | <b>8,943</b>  |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> |                 |              |                  |                 |                 |               |
| სავაჭრო და სხვა           |                 | 996          | 904              | -               | -               | 1,900         |
| ვალდებულებები             | -               |              |                  |                 |                 |               |
| სესხები                   | -               | 1,246        | 4,778            | 4,075           | -               | 10,099        |
| დემონტაჟის ხარჯის რეზერვი | -               | -            | 64               | 87              | 203             | 354           |
|                           | -               | <b>2,242</b> | <b>5,746</b>     | <b>4,162</b>    | <b>203</b>      | <b>12,353</b> |
| <b>1 იანვარი, 2017</b>    |                 |              |                  |                 |                 |               |
| სავაჭრო და სხვა           |                 |              |                  |                 |                 | 1,022         |
| ვალდებულებები             | -               | 381          | 641              | -               | -               |               |
| სესხები                   | -               | 409          | 1,287            | 9,917           | -               | 11,613        |
| დემონტაჟის ხარჯის რეზერვი | -               | -            | -                | 105             | 141             | 246           |
|                           | -               | <b>790</b>   | <b>1,928</b>     | <b>10,022</b>   | <b>141</b>      | <b>12,881</b> |

**კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვას აწარმოებს კომპანიის მფლობელი იმის და მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ის ოპერირებს.

**20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

კომპანიის ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

| დაკავშირებული მხარე      | შინაარსი      | კავშირი | 31<br>დეკემბერი<br>2018 | 31<br>დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|--------------------------|---------------|---------|-------------------------|-------------------------|-------------------|
| KOTON MAGAZICILIK        | წინასწარ      | Parent  |                         |                         |                   |
| TEKSTIL SA N.VE ISTANBUL | გადახდები     | company | -                       | 283                     | 642               |
| KOTON MAGAZICILIK        | სავაჭრო       | Parent  |                         |                         |                   |
| TEKSTIL SA N.VE ISTANBUL | ვალდებულებები | company | 4,181                   | 696                     | 711               |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი, ათასი)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

| დაკავშირებული მხარე                           | შინაარსი   | კავშირი          | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|-----------------------------------------------|------------|------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| KOTON MAGAZICILIK TEKSTIL<br>SA N.VE ISTANBUL | შესყიდვები | დედა<br>კომპანია | 19,098               | 17,935               | 21,554            |
| KOTON MAGAZICILIK TEKSTIL<br>SA N.VE ISTANBUL | გაყიდვები  | დედა<br>კომპანია | -                    | 179                  | -                 |

ოპერაციები უმაღლეს ხელმძღვანელობასთან

2018 წლის 31 დეკემბრისთვის უმაღლესი ხელმძღვანელობის (ჯამში 1 ადამიანი) შრომის ანაზღაურება შეადგენს 68 ათას ლარს. ( 2017 წლის 31 დეკემბრისათვის 60 ათას ლარს).

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული პირობები და ტრანზაქციები

შესყიდვები დაკავშირებული მხარეებიდან ხდება გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის ეკვივალენტურ პირობებში. წლის ბოლოს არსებულ ბალანსებს არ ერიცხება საპროცენტო ხარჯი და მათი დაფარვა ხდება ნაღდი ფულით. მშობელი კომპანია მოქმედებს კომპანიის სასესხო ვალდებულებების გასტუმრების გარანტი.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ აიღო სს იშბანკისგან 6,370,000 ლარის სესხი, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით წლიური საპროცენტო განაკვეთია 10.95%.

**კოტონი****„KOTON TEXTILE LIMITED“ LTD**

ს/კ 404441136

იურ. მის: პეკინის 4

ფაქტ. მის: პეკინი 4

ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: (+995) 32 244233

მმართველობითი ანგარიშგება

2018 ფინანსური წელი

მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს KOTON TEXTILE LIMITED დაფუძნდა 2013 წლის 1 აპრილს. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM Sirketi, რომელიც წარმოადგენს თურქულ კომპანიას, რომელიც დაარსდა 1988 წელს, თურქეთში და რომლის ძირითადი საქმიანობაცაა ტექსტილით ვაჭრობა. „KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM Sirketi“-ს მაღაზიათა ქსელი აქვს მთელ თურქეთში. თურქეთის გარდა კოტონის პროდუქცია იყიდება ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

კომპანიის სამმართველო გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება სათაო ოფისში, თურქეთში. თუმცა, გარკვეულ გადაწყვეტილებებზე უფლებამოსილებები დელეგირებულია რეგიონალურ მენეჯერზე.

2018 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 2177 ადამიანი. ადმინისტრაცია მოიცავს 4 თანამშრომელს:

- რეგიონალური მენეჯერი
- გაყიდვებისა და ოპერაციების სპეციალისტი
- ადამიანური რესურსების მენეჯერი
- ვიზუალ მერჩენდაიზერი

კომპანიის ფილიალები

KOTON-ის ბრენდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში. წარმოდგენილია 9 ფილიალით, მათ შორის ორი Outlet ტიპის მაღაზიით. კომპანიას აქვს ორი მაღაზია რეგიონში, ბათუმში და ქუთაისში. ხოლო, 7 მაღაზია თბილისში. ფილიალები ფუნქციონირებენ შემდეგ მისამართებზე:

1. თბილისი, რუსთაველის N42 - სავაჭრო ცენტრი „მერანი“, 2013 წელი.
2. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 16 კმ - თბილისი მოლი, 2014 წელი.
3. თბილისი, პეკინის 4 - ქუჩის მაღაზია, 2014 წელი.
4. თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა - სავაჭრო ცენტრი გლდანი მოლი, 2014 წელი.
5. თბილისი, ალ. თვალჭრელიძის N2 - ისტ ფონითი, 2015 წელი.
6. ქუთაისი, თამარ მეფის გამზირი N14 - ქუთაისი მოლი, 2015 წელი.
7. თბილისი, ხიზაბავრას ქუჩა N1 - გლდანი სითი მოლი, 2017 წელი.
8. თბილისი, დადიანის ქუჩა N7 - სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, 2017 წელი.
9. ბათუმი, გორგილაძის N9 - ქუჩის მაღაზია, 2017 წელი.

კომპანიის განვითარება

კომპანიის პოპულარობას განსაზღვრავს გამორჩეული დიზაინი, მრავალფეროვანი არჩევანი და ხელმისაწვდომი ფასები. კომპანიას მუდმივად აქვს კომუნიკაცია მომხმარებლებთან სხვადასხვა არხის გამოყენებით (Facebook, TV, სარეკლამო ბილბორდი) და აწვდით მათ სიახლეებს და სხვადასხვა სიახლეების შესახებ.

კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.koton.ge>ფეისბუქი: <https://www.facebook.com/KotonGeorgia/>

თარიღი .....

ხელმოწერა .....

**კოტონი**

კომპანიის საბუღალტრო მომსახურებას ამჟამად უწევს აუდიტორული კომპანია. 2019 წლის ბოლომდე დაგეგმილია ბუღალტრული განყოფილების ჩამოყალიბება, რომელიც შედგება მთავარი ბუღალტრისა და ორი დამხმარე ბუღალტრისგან.

კომპანიის საქმიანო საშუალოდ შესაბამისობაშია არამართო შრომითი კოდექსით დადგენილი წესებთან, არამედ ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციასთან.

#### *ფინანსური მაჩვენებლები*

2018 წელს გაყიდვები 3,49%-ით გაიზარდა. მიუხედავად გაყიდვების ზრდისა, ზემოთ მოხსენიებულმა გამოწვევამ, ლარის კურსთან დაკავშირებით, უარყოფითად იმოქმედა საერთო მარჟის კოეფიციენტზე. კერძოდ, თუ 2017 წელს მარჟა იყო 46.07%, 2018 წელს მარჟის კოეფიციენტი შემცირდა 42.32%-მდე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც საერთო მოგება შემცირდა მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით.

იგივე მიზეზი იყო EBITDA-ს შემცირების მიზეზი. 2017 წელს EBITDA შეადგენდა 16.22%-ს (5,388 მლნ ლარი), ხოლო 2018 წელს 10.36%-მდე (3,561 მილიონი ლარი) შემცირდა. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის ბიუჯეტში გადახდილი აქვს 6 095 730 ლარი.

კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

#### *გამოწვევები*

იმის გამო, რომ ყოველწლიურად ახალი ბრენდები შემოდის ქვეყანაში, ასევე იხსნება ახალი სავაჭრო ცენტრები, შესაბამისად იზრდება კონკურენცია დარგში. ერთ-ერთი გამოწვევა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაშია ეს არის ლარის კურსის მუდმივი გაუფასურება. საქონელი, რომლის შესყიდვაც ხდება დოლარში, ვალუტის კურსის ცვლილების გამო მუდმივად მზარდი თვითღირებულებით ხასიათდება. ამას შედეგად მოსდევს ფასების ზრდა, რაც გაყიდვებზე უარყოფითად მოქმედებს. მიუხედავად ლარის კურსის მერყეობისა, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაყიდვები გაიზარდა 3,51%-ით.

2017 წლის საშუალო კურსი იყო 2,5086

2018 წლის საშუალო კურსი იყო 2,5345

2019 წლის პირველი ცხრა თვის საშუალო კურსი კი 2,7765-ია.

ლარის კურსი ასევე ზრდის საიჯარო ხარჯებს, რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში. საიჯარო კონტრაქტები ძირითადად დოლარშია დადებული.

ყველა ამ გამოწვევას კომპანია აქტიურად უმკლავდება და ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბაზარზე მისი პროდუქციის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის საშუალო ფენისთვის და ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მომხმარებელი.

#### *რისკები და გაურკვევლობები*

ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის ხშირი და მოულოდნელი ცვლა იწვევს გაურკვევლობებს. მაგალითად, სავალდებულო გახდა შრომის ინსპექტორის თანამდებობის შემოღება. ყოველი მსგავსი ცვლილება კომპანიას ზრდის საოპერაციო ხარჯებს.

კოტონის მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ტურისტები. ისეთი მოვლენები, როგორიცაა სახალხო გამოსვლები, მიტინგები და ა.შ. ტურისტების ნაწილს აიძულებს თავი შეიკავონ ქვეყანაში შემოსვლისგან. ეს გარემოება კი უარყოფით გავლენას ახდენს გაყიდვებზე და შესაბამისად მოგებაზე.

სალომე ისიანი

რეგიონალური მენეჯერი



*მმართველობითი ანგარიშგება*

*2018 ფინანსური წელი*

### **მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ**

შპს KOTON TEXTILE LIMITED დაფუძნდა 2013 წლის 1 აპრილს. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI, რომელიც წარმოადგენს თურქულ კომპანიას, რომელიც დაარსდა 1988 წელს, თურქეთში და რომლის ძირითადი საქმიანობაცაა ტექსტილით ვაჭრობა. „KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI „-ს მაღაზიათა ქსელი აქვს მთელ თურქეთში. თურქეთის გარდა კოტონის პროდუქცია იყიდება ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

კომპანიის სამმართველო გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება სათაო ოფისში, თურქეთში. თუმცა, გარკვეულ გადაწყვეტილებებზე უფლებამოსილებები დელეგირებულია რეგიონალურ მენეჯერზე.

2018 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 2177 ადამიანი. ადმინისტრაცია მოიცავს 4 თანამშრომელს:

- რეგიონალური მენეჯერი
- გაყიდვებისა და ოპერაციების სპეციალისტი
- ადამიანური რესურსების მენეჯერი
- ვიზუალ მერჩენდაიზერი

### **კომპანიის ფილიალები**

KOTON-ის ბრენდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში. წარმოდგენილია 9 ფილიალით, მათ შორის ორი Outlet ტიპის მაღაზიით. კომპანიას აქვს ორი მაღაზია რეგიონში, ბათუმში და ქუთაისში. ხოლო, 7 მაღაზია თბილისში. ფილიალები ფუნქციონირებენ შემდეგ მისამართებზე:

1. **თბილისი**, რუსთაველის N42 - სავაჭრო ცენტრი „მერანი“, **2013 წელი**.
2. **თბილისი**, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 16 კმ - თბილისი მოლი, **2014 წელი**.
3. **თბილისი**, პეკინის 4 - ქუჩის მაღაზია, **2014 წელი**.
4. **თბილისი**, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა - სავაჭრო ცენტრი გლდანი მოლი, **2014 წელი**,
5. **თბილისი**, ალ. თვალჭრელიძის N2 - ისთ ფოინთი, **2015 წელი**.
6. **ქუთაისი**, თამარ მეფის გამზირი N14 - ქუთაისი მოლი, **2015 წელი**.
7. **თბილისი**, ხიზაბავრას ქუჩა N1 - გლდანი სითი მოლი, **2017 წელი**.
8. **თბილისი**, დადიანის ქუჩა N7 - სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, **2017 წელი**.
9. **ბათუმი**, გორგილაძის N9 - ქუჩის მაღაზია, **2017 წელი**.

### **კომპანიის განვითარება**

კომპანიის პოპულარობას განსაზღვრავს გამორჩეული დიზაინი, მრავალფეროვანი არჩევანი და ხელმისაწვდომი ფასები. კომპანიას მუდმივად აქვს კომუნიკაცია მომხმარებლებთან სხვადასხვა არხის გამოყენებით (Facebook, TV, სარეკლამო ბილბორდი) და აწვდით მათ სიახლეებს ფასდაკლებებისა და სხვადასხვა სიახლეების შესახებ.

კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.koton.com/en/>,

ფეისბუქი: [https://www.facebook.com/KotonGlobal/?fref=ts&brand\\_redir=33709448234](https://www.facebook.com/KotonGlobal/?fref=ts&brand_redir=33709448234)

კომპანიას საბუღალტრო მომსახურებას ამჟამად უწევს აუდიტორული კომპანია. 2019 წლის ბოლომდე დაგეგმილია ბუღალტრული განყოფილების ჩამოყალიბება, რომელიც შედგება მთავარი ბუღალტრისა და ორი დამხმარე ბუღალტრისგან.

კომპანიის საქმიანობა სრულად შესაბამისობაშია არამარტო შრომითი კოდექსით დადგენილი წესებთან, არამედ ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციასთან.

### **ფინანსური მაჩვენებლები**

2018 წელს გაყიდვები 3,49%-ით გაიზარდა. მიუხედავად გაყიდვების ზრდისა, ზემოთ მოხსენიებულმა გამოწვევამ, ლარის კურსთან დაკავშირებით, უარყოფითად იმოქმედა საერთო მარჟის კოეფიციენტზე. კერძოდ, თუ 2017 წელს მარჟა იყო **46.07%**, 2018 წელს მარჟის კოეფიციენტი შემცირდა **42.32%-**მდე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც საერთო მოგება შემცირდა მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით.

იგივე მიზეზი იყო EBITDA-ს შემცირების მიზეზი. 2017 წელს EBITDA შეადგენდა **16.22%-ს** (5,388 მლნ ლარი), ხოლო 2018 წელს **10.36%-მდე** (3,561 მილიონი ლარი) შემცირდა. 2018 წლის განმავლობაში კომპანიას ბიუჯეტში გადახდილი აქვს 6 095 730 ლარი.

კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

### **გამოწვევები**

იმის გამო, რომ ყოველწლიურად ახალი ბრენდები შემოდის ქვეყანაში, ასევე იხსნება ახალი სავაჭრო ცენტრები, შესაბამისად იზრდება კონკურენცია დარგში. ერთ-ერთი გამოწვევა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაშია ეს არის ლარის კურსის მუდმივი გაუფასურება. საქონელი, რომლის შესყიდვაც ხდება დოლარში, ვალუტის კურსის ცვლილების გამო მუდმივად მზარდი თვითღირებულებით ხასიათდება. ამას შედეგად მოსდევს ფასების ზრდა, რაც გაყიდვებზე უარყოფითად მოქმედებს. მიუხედავად ლარის კურსის მერყეობისა, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაყიდვები გაიზარდა 3,51%-ით.

2017 წლის საშუალო კურსი იყო 2,5086

2018 წლის საშუალო კურსი იყო 2,5345

2019 წლის პირველი ცხრა თვის საშუალო კურსი კი 2,7765-ია.

ლარის კურსი ასევე ზრდის საიჯარო ხარჯებს, რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში. საიჯარო კონტრაქტები ძირითადად დოლარშია დადებული.

ყველა ამ გამოწვევას კომპანია აქტიურად უმკლავდება და ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბაზარზე მისი პროდუქციის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის საშუალო ფენისთვის და ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მომხმარებელი.

### **რისკები და გაურკვევლობები**

ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის ხშირი და მოულოდნელი ცვლა იწვევს გაურკვევლობებს. მაგალითად, სავალდებულო გახდა შრომის ინსპექტორის თანამდებობის შემოღება. ყოველი მსგავსი ცვლილება კომპანიას უზრდის საოპერაციო ხარჯებს.

კოტონის მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ტურისტები. ისეთი მოვლენები, როგორიცაა სახალხო გამოსვლები, მიტინგები და ა.შ. ტურისტების ნაწილს აიძულებს თავი შეიკავონ ქვეყანაში შემოსვლისგან. ეს გარემოება კი უარყოფით გავლენას ახდენს გაყიდვებზე და შესაბამისად მოგებაზე.